საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად, შენიშვნებით გიბრუნებთ საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 28 ნოემბერს მიღებულ და ხელმოსაწერად წარმოდგენილ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტებს.

წარმოდგენილი კანონპროექტებით გათვალისწინებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების კონტროლის მექანიზმის შექმნა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ორეტაპიანი მოდელის დამკვიდრება, კავშირგაბმულობის საშუალებებზე წვდომის და ინფორმაციის მოპოვების, ასევე ამ პროცესებზე ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება და კავშირგაბმულობის საშუალებებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მიღების მექანიზმის შემუშავება.

მიგვაჩნია, რომ:

1. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირის შესახებ პერსონალური მონაცემების და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან უნდა განხორციელდეს ადამიანის

№07-1/117
29.11.2014
15

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტის შესაბამისად. ხსენებული სტანდარტი ითვალისწინებს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ პირის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოსათვის გადაცემას მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის დადგენილების საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია არსებობდეს ინფორმაციის გადაცემაზე გარე კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში საქმეზე *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,* მიუთითებს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს უფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ახასიათებს ფარული ბუნება, მათ დიდ ნაწილს საზოგადოება საერთოდ ვერ ხედავს და, შესაბამისად, ვერ აკონტროლებს. ამ ფონზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის ცდუნება და რისკი სხვა შემთხვევებთან შედარებით მაღალია. ნეიტრალური პირის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების გაკონტროლება ამცირებს თვითნებობის რისკებს და წარმოადგენს კანონის სწორი გამოყენების მნიშვნელოვან გარანტიას“.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, რომელიც წარმოდგენილია ხელმოსაწერად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლს ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. იმავდროულად, ხსენებული კანონის პროექტისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთან ერთად, არის

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი შემადგენელი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე შეუძლებელია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელება. შესაბამისად, ნათელია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ერთდროულად წარმოადგენს როგორც ფარულ მოსმენა-მიყურადების პროცესზე გარე კონტროლის მექანიზმს, ასევე თავად ამ პროცესის ერთ-ერთ შემადგენელს. ეს კი, თავის მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე გარე კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობას, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის ხარისხს.

ზემოხსენებული არგუმენტაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი უნდა წარმოადგენდეს ფარულ მოსმენა-მიყურადების პროცესის მხოლოდ გარე კონტროლის ინსტიტუტს, მით უმეტეს, რომ მას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის ფუნქციას აკისრებს.

2. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიან ელექტრონულ სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად სასამართლოს მონაწილეობით მიღწეულ იქნება ამ სისტემის ეფექტიანი და მიუკერძოებელი ფუნქციონირება. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში სასამართლოს მონაწილეობის ხარისხის გაზრდა, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან გამიჯნულ სახელისუფლებო ინსტიტუციას წარმოადგენს, უდავოდ იქნება პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლების დაცვის მაღალი სტანდარტის დაწესების წინაპირობა. ამასთან, სასამართლოს ელექტრონული თანხმობის არსებობის სავალდებულოობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიან ელექტრონულ სისტემაში, ვერ იქნება აღქმული სასამართლოს მონაწილეობად ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში. სასამართლო, როგორც ხსენებული ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის შემადგენელი, თავად კი არ ახორციელებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს (ფარული მიყურადება-ჩაწერა), არამედ ქმნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ამ

მოქმედებების წარმართვის წინაპირობას. ეს კი, თავის მხრივ, უდავოდ გაზრდის ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ხარისხის შეგრძნებას და სანდოობას ფარული საგამოძიებო მოქმედებების პროცესის მიმართ, მინიმუმამდე დაიყვანს ფარული მიყურადება-ჩაწერის პროცესში სახელმწიფოს არალეგიტიმური ჩარევის ალბათობას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, მსგავსად დღეს მოქმედი მექანიზმისა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში არ ხდება ახალი სუბიექტის შემოყვანა. პროცესი წარიმართება კვლავ სამართალდამცავი ორგანოსა და სასამართლოს მონაწილეობით. სასამართლო გასცემს განჩინებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე და, იმავდროულად, ელექტრონული თანხმობით უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების პროცესის განხორციელებას.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილია ხელმოსაწერად, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანო ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს ფარული საგამოძიებო მოქმედების მხოლოდ ერთ სახეს - სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას. აუცილებლობად მიგვაჩნია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, როგორიცაა ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან, და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია, - ასევე უნდა წარიმართოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ხსენებული საგამოძიებო მოქმედება უკავშირდება ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგს – გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვებას, რაც, თავის მხრივ, არის ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განუყოფელი შემადგენელი და რაზეც არაერთხელ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მაგალითად, *„კოპლანდი (Copland) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“*).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“* მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის, პეიჯერისა და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით. კონსტიტუციის მიზანი ამ შემთხვევაში არის დაიცვას პირებს შორის ნებისმიერი საშუალებით საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. ამ უფლების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ზოგადად ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები. საკონსტიტუციო სასამართლომ *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“* საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ ინტერნეტით კომუნიკაცია ექცევა ადამიანის პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, ტექნიკური საშუალებებით საუბრისა და ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინების უფლებით დაცულ სფეროში. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის აღნიშნული უფლებრივი კომპონენტის მიზანია: „...დაიცვას პირებს შორის, ნებისმიერი საშუალებით, საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და განვითარება წარმოუდგენელია, შეუძლებელია ინფორმაციის თავისუფლების, აზრთა გაცვლისა და ადამიანების ნებისმიერ სფეროში თავისუფალი კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე“. ასევე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ინტერნეტის დიდ მნიშვნელობას კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის საქმეში: „ინტერნეტის მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ძალიან დიდია და ყოველდღიურად მზარდი. ის ადამიანთა კომუნიკაციის, მოსაზრებების გაცვლის, გაზიარების ძალზე ეფექტური და მოსახერხებელი საშუალებაა.“ კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული კომუნიკაციების

ხელშეუხებლობის უფლების კონტექსტში ინტერნეტით კომუნიკაციის უფლება გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, აირჩიოს თემები, ინტერესები და პირთა წრე, ვისთანაც ამ თემებზე კომუნიკაციას ისურვებდა. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაცული იყოს ამგვარი კომუნიკაციის შინაარსის, ისევე როგორც მასში მონაწილე პირების საიდუმლოება. როგორც სასამართლომ განაცხადა: „ინტერნეტი არის ერთ-ერთი შესაძლებლობა ასეთი საჯარო ან კერძო ურთიერთობებისთვის. ამიტომ, თუ არ იქნება ინფორმაციის დაცულობის და პირთა ანონიმურობის დაცვის შესაბამისი გარანტია, ეს კითხვის ქვეშ დააყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამასთან, დააბრკოლებს, გაართულებს ამ გზით კომუნიკაციას ნებისმიერ სფეროში. რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას.“

ზემოხსენებული სასამართლო საქმეები ნათლად მიუთითებს ინტერნეტკომუნიკაციის, როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემადგენელი კომპონენტის მნიშვნელობაზე. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მეტად ეფექტიანი მექანიზმის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადება-ჩაწერასთან ერთად, ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვებაც ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სასამართლოს ელექტრონული თანხმობით იყოს შესაძლებელი.

4. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, რომელიც წარმოდგენილია ხელმოსაწერად, იცვლება ხსენებულ კანონში ა.წ. 1 აგვისტოს შეტანილი დებულება ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შემნახველი სუბიექტის თაობაზე, ასევე ამ მონაცემების ჩამონათვალი, რომელიც მიღების მომენტისათვის განისაზღვრა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის N2006/24/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად.

ხსენებულ კანონში, ასევე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებულ ცვლილებებს დადებითი შეფასება მოჰყვა საექსპერტო სფეროსა თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან. ფარული

მიყურადება უნდა განხორციელდეს მაშინ, როდესაც ეს არის აუცილებელი, შესაბამისი და პროპორციული საშუალება ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის. ამგვარ ლეგიტიმურ მიზნებად მიჩნეულ იქნა ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება და სხვ. გარდა ამისა, განისაზღვრა იმ დანაშაულებრივ შემთხვევათა კატეგორიები, რომელთა მიმართაც დასაშვებია ფარული ღონისძიებების განხორციელება. ასევე, ცვლილებების მიხედვით, განისაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და გაძლიერდა ზემოაღნიშნულ პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საზედამხედველო ფუნქციები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მოქმედი კანონის პროგრესულად მიჩნეული ნორმები არ უნდა იყოს შეცვლილი.

ხელმოსაწერად წარმოდგენილი კანონპროექტით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, განსხვავებით უკვე მოქმედი რედაქციისაგან, მეტწილად ზოგადი, ფართო და არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, რაც შესაძლოა გახდეს სამართლის ნორმის არაგანჭვრეტადობის წინაპირობა. უდავოა, რომ განჭვრეტადობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კანონი უნდა იყოს საკმარისად ნათელი, რათა ცალკეულ პირებს მისცეს ადეკვატური მინიშნება იმ გარემოებებსა და პირობებზე, რომელთა არსებობისას სახელმწიფო უწყება უფლებამოსილია, გამოიყენოს კონკრეტული ზომა (იხ.: *„კოპლანდი (Copland) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“*). ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“* მიუთითებს, რომ „ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი“. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შემადგენელი კომპონენტები უნდა დარჩეს იმ ფორმულირებით, როგორადაც იგი განისაზღვრა ა.წ. 1 აგვისტოს კანონით.

5. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტები, ითვალისწინებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას 2015 წლის 31 მარტამდე უზრუნველყოს კონტროლის ელექტრონული სისტემის, მონაცემთა ბანკების კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის და ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების შექმნა. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხსენებული ვალდებულება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, მიზანშეწონილია მის განხორციელებაში ჩაბმული იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რაც, თავის მხრივ, გაზრდის პროცესის სანდოობის ხარისხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტებს.

გიორგი მარგველაშვილი

N6308
29.11.2014

პროექტი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 16.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010100000.05.001.016606) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“–„ღ“ ქვეპუნქტები:

„ფ) უფლებამოსილი ორგანო – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილით განსაზღვრული ორგანო;

ქ) კონტროლის ელექტრონული სისტემა – ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ გაცემულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის მიერ განხორციელებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების ავტომატურ მიწოდებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის, ამ მონაცემების კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას და მიღებული შედეგების ავტომატურ შედარებას;

ღ) მონაცემთა ბანკების კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა – ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8^3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების ლოგირების მონაცემების ავტომატურ მიწოდებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 35^1 მუხლი:

„მუხლი 35^1. ფარული საგამოძიებო მოქმედებების და მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლი

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების – სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის – განხორციელებაზე ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებს:

ა) კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემოწმებით;

ბ) მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების

კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე–138-ე მუხლებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებზე და 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებს სასამართლოს, პროკურატურის და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედარებით და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).

3. მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებს მონაცემთა ბანკების კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე–138-ე მუხლებით და 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებზე განხორციელებული კონტროლის შედეგების შესახებ ანგარიშს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წელიწადში ორჯერ წარუდგენენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს.“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის VII^1 თავი:

„თავი VII^1. გარდამავალი დებულებები

მუხლი 55^1. გარდამავალი დებულებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა 2015 წლის 31 მარტამდე უზრუნველყონ კონტროლის ელექტრონული სისტემის და მონაცემთა ბანკების კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შექმნა.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2015 წლის 31 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 06.06.2005, მუხ. 175) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{56}“–„ჰ^{62}“ ქვეპუნქტები:

„ჰ^{56}) ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობა – წინასწარ განსაზღვრული არქიტექტურითა და დადგენილი ინტერფეისებით, გადაცემის პროცესში მყოფი კომუნიკაციის შინაარსის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების უფლებამოსილი ორგანოსთვის სასამართლოს ელექტრონული თანხმობისა და სასამართლოს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მიწოდების შესაძლებლობა;

ჰ^{57}) მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა – სპეციალური კომპიუტერული სისტემა, რომელიც ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურაში არის შუამავალი რგოლი სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემასა და მომსახურების მიმწოდებლის ინფრასტრუქტურას შორის, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის აქტივაციისა და დეაქტივაციის შესახებ სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ ინიციირებულ ბრძანებათა ტექნიკურ აღსრულებას და რომლის ორგანიზება გამორიცხავს სასამართლოს ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ ინიციირებულ ბრძანებათა ტექნიკურ აღსრულებას.

ჰ^{58}) სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემა – პროგრამული ინტერფეისი, რომლის მეშვეობითაც ხდება ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების ინიციირება და რომელიც არის გადაჭერილი ინფორმაციის მიღების საბოლოო პუნქტი;

ჰ^{59}) ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი – მოსამართლის განჩინებით/პროკურორის მოტივირებული დადგენილებით განსაზღვრული კონკრეტული იდენტიფიკატორი;

ჰ^{60}) ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია – ავტორიზებული პირი, რომლის საქმიანობის ან/და მომსახურების სახეა სატელეფონო ქსელებით ან/და ინტერნეტქსელებით უზრუნველყოფა ან/და მომსახურება;

ჰ^{61}) უფლებამოსილი ორგანო – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილით განსაზღვრული ორგანო;

2. 8^{1} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8^{1}. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით განხორციელებულ

კომუნიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდება

უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას უნდა ჰქონდეს მისი ქსელების მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემისთვის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობა.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^3 მუხლი:

„მუხლი 8^3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება

1. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს სასამართლოს ელექტრონული თანხმობით ჰქონდეს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, სასადგურე აპარატურიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა და ამ მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან, საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ განათავსოს სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები. ინფორმაციის კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან მოხსნას, ფიქსაციას და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს მონაცემთა ბანკებიდან, სასამართლოს ელექტრონული თანხმობით სასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე.

2. ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურა და შესაბამისი ინტერფეისები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სათანადო აქტით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 31-ე–33-ე ნაწილები:

„31. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა – ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავს სასამართლოს ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.

32. ამ კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების მქონე შესაბამისი სახელმწიფო ორგანო – ამ კოდექსის 143^4 მუხლის მიზნებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი.

33. ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან – უფლებამოსილი ორგანოს მიერ ელექტრონული კავშირიდან (ელექტრონული ფოსტა), კომპიუტერული ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან გადაცემული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.“.

2. 143^3 მუხლის:

ა) მე-5 და მე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობისა და მისი დასაბუთებისათვის საჭირო, თანდართული მასალის სასამართლოში წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა განიხილავს შუამდგომლობას ამ თავითა და ამ კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი წესებით. მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. მოსამართლე შუამდგომლობას ზეპირი მოსმენით, პროკურორის მონაწილეობით, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს და განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, დაუყოვნებლივ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

6. ფარული საგამოძიებო მოქმედება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს ელექტრონული თანხმობით, მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს როგორც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების, ისე იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე გადაუდებლად ჩატარება. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს სასამართლოში მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი გაგრძელების შესახებ;

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების შესახებ.“;

ბ) მე-6 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 და 6^2 ნაწილები:

„6^1. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისთვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი. მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას.

6^2. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის მოტივირებული დადგენილების ერთი ეგზემპლარი დაუყოვნებლივ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.“;

გ) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, დაუყოვნებლივ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.“;

დ) მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება საჯაროდ არ ცხადდება. მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყო.“.

3. 143^4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 143^4. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანო

1. ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. ამ კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.“.

4. 143^5 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ ორგანოს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.“.

5. 143^7 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო, აგრეთვე საგამოძიებო ორგანო ან პირი ვალდებული არიან, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეზღუდონ იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ.“.

6. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 332^3 მუხლი:

„მუხლი 332^3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა 2015 წლის 31 მარტამდე უზრუნველყონ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შექმნა.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილი ამოქმედდეს 2015 წლის 31 მარტიდან.

3. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 1 მარტამდე უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის მიღება, რომლითაც განისაზღვრება ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის 31-ე ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს ელექტრონული თანხმობის გაცემის წესი.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**